

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია  
GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



**არასამთავრობო ორგანიზაციების  
განცხადება ენერგეტიკისა და ბუნებრივი  
რესურსების მინისტრის განცხადებასთან  
დაკავშირებით**

გვსურს, გამოვეხმაუროთ ა.ნ. 22 აპრილს ტელეკომპანია „მეცხრე არხის“ სადამოს  
საინფორმაციო გადაცემაში გასულ სიუჟეტს, ხულონჯესის მშენებლობის თაობაზე  
მიმდინარე დისკუსიის შესახებ.

# საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



ჩვენი ყურადღება მიიპყრო ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის კახა კალაძის უკიდურესად არაკორექტულმა განცხადებამ იმ არასამთავრობო ორგანიზაციების მიმართ, რომლებიც კრიტიკულ შენიშვნებს გამოთქვამენ ხელონჰესის მშენებლობასთან დაკავშირებით. ვერძოდ, ხსენებულ სიუჟეტში ბატონმა კალაძემ ბრძანა: „ჩვენი ქვეყნის ბედს ვერ გადავავოლებთ რომელიმე არასამთავრობო ორგანიზაციას და მათ მიერ რაღაც შეჩერებული პროექტების გამო აღებულ დაფინანსებას, რომელსაც ისინი იღებენ უცხოეთიდან.“.

პოლიტიკის ფორმულირებისა და გადანყვეტილებების მიღების პროცესში სამოქალაქო სექტორის როლის შესახებ ამგვარი მცდარი წარმოდგენა შემამფოთებელია, განსაკუთრებით ისეთი მაღალი თანამდებობის პირისგან, როგორც ბატონი კალაძეა, რომელსაც საქართველოს მთავრობაში პირველი ვიცე-პრემიერის პოსტიც უკავია. ხელისუფლებისა და სამოქალაქო სექტორის (ან მისი ერთი ნაწილის) მოსაზრებები ხშირად არ ემთხვევა ერთმანეთს და ეს დემოკრატიული მმართველობისთვის დამახასიათებელი ბუნებრივი პროცესია. ამდენად, კატეგორიულად მიუღებელია არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ გამოთქმულ კრიტიკული შენიშვნების საპასუხოდ ამგვარი დაუსაბუთებელი ბრალდებისა და სხვადასხვა შეთქმულების თეორიის მოშველიება. დასაბანია, თუ საქართველოს ხელისუფლება სამოქალაქო სექტორთან ურთიერთობას ასეთი რიტორიკით აპირებს.

არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ გამოთქმული შენიშვნების დაკავშირება გაურკვეველ ფინანსურ ინტერესებთან მით უფრო უცნაურია ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მხრიდან, რომლის ხელმძღვანელ პირებს ბოლო დრომდე თავად ჰქონდათ ვერძოდ კომერციული ინტერესები ენერგეტიკის სექტორში. საზოგადოებას დღემდე არ მიუღია ცალსახა პასუხი, დათმეს თუ არა მათ რეალურად ეს ინტერესები.

*მწვანე ალტერნატივა*

*საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია*

*„საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“*

*ადამიანის უფლებათა ცენტრი*

*ფონდი „ღია საზოგადოება - საქართველო“*

*ფრიდრიხ ებერტის ფონდის წარმომადგენლობა საქართველოში*

*სვანეთის ტურიზმის ცენტრი*

*გურამ თიკანაძის სახ. სვანეთის ახალგაზრდული ცენტრი*

*გაზეთი "სამხრეთის კარიბჭე"*

*საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ასოციაცია*

*ქუთაისის საინფორმაციო ცენტრი*

*სტეფანწმიდა*

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია  
GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION

